



**სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტო**

22 / მაისი / 2023 წ.



KA020162129637123

№ 452/ს

**ბრძანება „ქართულ პერსპექტივაზე“ (ს/ნ 405089657) გაცემული სასარგებლო
წიაღისეულის მოპოვების N 1003301, N 1003302, N 1003303 და N 1003415
ლიცენზიების გაუქმების თაობაზე**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 20 მარტის N254/ს ბრძანების საფუძველზე, დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება შპს „ქართულ პერსპექტივაზე“ (ს/ნ 405089657) (შემდგომში „კომპანია“) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003301, N 1003302, N 1003303 და N 1003415 ლიცენზიების გაუქმების თაობაზე.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად დაედო სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2023 წლის 15 მარტის N 539, N 531, N 527 და N 530 მოხსენებითი ბარათები - შპს „ქართულ პერსპექტივას“ ლიცენზიების გაუქმების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მიერ იურიდიულ მისამართზე გაგზავნილ იქნა 2023 წლის 22 მარტის N 22/2023 წერილობითი კორესპონდენცია, რომლის საფუძველზეც კომპანიას ეცნობა N 1003301, N 1003302, N 1003303 და N 1003415 ლიცენზიების გაუქმების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ზეპირი მოსმენის თარიღის თაობაზე. კორესპონდენცია გაგზავნილ იქნა ორჯერ, თუმცა არ ჩაბარდა. ასევე აღნიშნული წერილი გაიგზავნა კომპანიის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე (www.rs.ge), რომელიც კომპანიის მიერ წაკითხულ იქნა 2023 წლის 03 აპრილს, წერილი ასევე გაიგზავნა საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე perspektiva@gmail.com -ზე. ამასთანავე, 2023 წლის 12 აპრილს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე შედგა სატელეფონო კომუნიკაცია კომპანიის დირექტორთან ჯემალ ონიანთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ვერ ესწრებოდა ზეპირ სხდომას და გამოთქვა თანხმობა სხდომის მისი დასწრების გარეშე ჩატარების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, თითოეულ ლიცენზიასთან მიმართებით, გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც მიეცა სამართლებრივი შეფასება. კერძოდ:

1. შპს "ქართული პერსპექტივა" (ს/ნ 405089657) ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #1003301 ლიცენზიას ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ურავის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვების მიზნით.

შპს "ქართული პერსპექტივა"-ზე ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #43/ს ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში შეესწავლა რესურსი და დასამტკიცებლად წარმოედგინა ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;
- ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით 5 წლის ვადაში დაეხარჯა არანაკლებ 5 000 000 ლარი და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში წარმოედგინა აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა თანხის ხარჯვის ანგარიშის შესახებ;
- შესწავლის პერიოდში დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 50 ადამიანი);

- შესწავლის პერიოდში 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში განხორციელებინა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება.

ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობები და ლიცენზიის გამცემის მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენილობის, ძებნა-ძიებითი სამუშაოებში 5 000 000 ლარის დახარჯვის ვალდებულების შეუსრულებლობის და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის წარმოდგენილობის გამო 2021 წლის 24 თებერვალს შედგენილ იქნა #002899 ოქმი. ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ 2021 წლის 02 აპრილის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

- 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2019 წლის 25 ივნისს შედგენილ იქნა #001683 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 29 ივლისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

დასტურდება, რომ ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა, დაჯარიმებების შემდგომ არ გატარებულა არანაირი სახის ქმედითი ღონისძიებები და არცერთი დარღვევა არ იქნა აღმოფხვრილი. სავარაუდოა, რომ კიდევ ერთი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ვერ დააყენებს შესაბამის შედეგს. კომპანიას არ უნარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, რომელიც ამოიწურა 2021 წელს, კომპანიას არ წარმოდგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწყია წიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, არ ხორციელდება წიაღით რაციონალური სარგებლობა. ამასთან, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #43/ს ბრძანების მეორე პუნქტის "რ" ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენილობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. ამკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელმა ვერ უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება.

2. შპს "ქართული პერსპექტივა" (ს/ნ 405089657) ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #1003302 ლიცენზიას ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ღების მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვების მიზნით.

შპს "ქართული პერსპექტივა"-ზე ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #45/ს ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში შეესწავლა რესურსი და დასამტკიცებლად წარმოდგინა ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში;

- ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით 5 წლის ვადაში დაეხარჯა არანაკლებ 6 000 000 ლარი და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში წარმოდგინა აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა თანხის ხარჯვის ანგარიშის შესახებ;

- შესწავლის პერიოდში დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 50 ადამიანი);

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში განხორციელებინა სოფელ ღებში პირველადი სამედიცინო მომსახურების განვითარების საჭირო შენობის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობები და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღებში პირველადი სამედიცინო მომსახურების განვითარების საჭირო შენობის მშენებლობა/რეაბილიტაციის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2018 წლის 30 მარტს შედგენილ იქნა #044641 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2018 წლის 03 მაისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ადმინისტრაციული მინერალური ლიცენზიის მფლობელს განესაზღვრა ვადა ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა სალიცენზიო პირობა არ იქნა

შესრულებული არც მინერლობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად 2019 წლის 23 ივლისს შედგენილ იქნა #001674 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2019 წლის 07 აგვისტოს დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობის, ძებნა-ძიებითი სამუშაოებში 6 000 000 ლარის დახარჯვის ვალდებულების შეუსრულებლობის და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის წარმოდგენლობის გამო 2021 წლის 24 თებერვალს შედგენილ იქნა #002910 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 16 მარტის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 50 ადამიანის) დასაქმების ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 18 თებერვლის #22/867 წერილით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელისგან, რაც არ იქნა წარმოდგენილი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, 2019 წლის 24 აპრილს შედგენილ იქნა #001076 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 04 ივნისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა, დაჯარიმებების შემდგომ არ გატარებულა არანაირი სახის ქმედითი ღონისძიებები და არცერთი სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული. შესაბამისად, კიდევ ერთი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ან გონივრული ვადის განსაზღვრა სალიცენზიო პირობის შესასრულებლად, აშკარაა, რომ ვერ დააყენებს შესაბამის შედეგს. ასევე, კომპანიას არ უნარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო ნიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, რომელიც ამოიწურა 2021 წელს, კომპანიას არ წარმოდგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწყია ნიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, არ ხორციელდება უზრუნველყოფილი ნიაღით რაციონალური სარგებლობა. გასათვალისწინებელია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #45/ს ბრძანების მეორე პუნქტის "რ" ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ნიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს კომპანიის უმოქმედობას. აშკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის სალიცენზიო პირობის შესასრულებლად გონივრული ვადის განსაზღვრა და კვლავ დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგს, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელების დადებამ და დამატებით მიცემულმა ვადამ ვერ უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება. 2023 წლის 13 თებერვლის #22/895 წერილით კომპანიას მიენიჭა ინფორმაცია ლიცენზიის გაუქმების საფუძველების არსებობის შესახებ. წერილი კომპანიის წარმომადგენელს ჩაბარდა 2023 წლის 15 თებერვალს, თუმცა არც აღნიშნულ წერილზე მომხდარა რეაგირება.

3. შპს "ქართული პერსპექტივა" (ს/ნ 405089657) ფლობს სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების #1003303 ლიცენზიას ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ გლოლასა და კურორტ შოვის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო ნიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვების მიზნით.

შპს "ქართული პერსპექტივა"-ზე ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #46/ს ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში შეესწავლა რესურსი და დასამტკიცებლად წარმოდგინა ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიში;
- ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით 5 წლის ვადაში დაეხარჯა არანაკლებ 5 000 000 ლარი და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში წარმოდგინა აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა თანხის ხარჯვის ანგარიშის შესახებ;
- შესწავლის პერიოდში დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 50 ადამიანი);
- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში სოფელ გლოლაში აეშენებინა საბავშვო ბაღი;
- შესწავლის პერიოდში 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში განეხორციელებინა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება.

ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობები და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლაში საბავშვო ბაღის აშენების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2018 წლის 30 მარტს შედგენილ იქნა #044639 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2018 წლის 03 მაისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ადმინისტრაციული მინერლობით ლიცენზიის მფლობელს განესაზღვრა ვადა ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული არც მინერლობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად 2019 წლის 23 ივლისს შედგენილ იქნა #001697 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2019 წლის 07 აგვისტოს დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობის, ძებნა-ძიებითი სამუშაოებში 5 000 000 ლარის დახარჯვის ვალდებულების შეუსრულებლობის და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის წარმოდგენლობის გამო 2021 წლის 24 თებერვალს შედგენილ იქნა #002911 ოქმი. ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2021 წლის 31 მარტის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

- შესწავლის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 50 ადამიანის) დასაქმების ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 18 თებერვლის #22/866 წერილით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელისგან, რაც არ იქნა წარმოდგენილი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, 2019 წლის 24 აპრილს შედგენილ იქნა #001077 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

- 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2019 წლის 25 ივნისს შედგენილ იქნა #001684 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 29 ივლისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა, დაჯარიმებების შემდგომ არ გატარებულა არანაირი სახის ქმედითი ღონისძიებები და არცერთი სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული. შესაბამისად, კიდევ ერთი სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ან გონივრული ვადის განსაზღვრა სალიცენზიო პირობის შესასრულებლად, ვერ დააყენებს შესაბამის შედეგს.

ამასთან, კომპანიას არ უწარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო ნიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, რომელიც ამოიწურა 2021 წელს, კომპანიას არ წარმოდგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწყია ნიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, ვერ იქნება უზრუნველყოფილი ნიაღისეულის რაციონალური სარგებლობა.

გასათვალისწინებელია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის #46/ს ბრძანების მეორე პუნქტის "ს" ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოდგენლობა შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც ნიაღისეულის სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.

გემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. ამკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის სალიცენზიო პირობის შესასრულებლად გონივრული ვადის განსაზღვრა და კვლავ დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგს, ვინაიდან, ადმინისტრაციული სახდელის დადება და ცალკეულ შემთვევებში დამატებით მიცემულმა ვადა ვერ უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება.

2023 წლის 13 თებერვლის #22/895 წერილით კომპანიას მიეწოდა ინფორმაცია ლიცენზიის გაუქმების საფუძველების არსებობის შესახებ. წერილი კომპანიის წარმომადგენელს ჩაბარდა 2023 წლის 15 თებერვალს, თუმცა არც აღნიშნულ წერილზე მომხდარა რეაგირება.

4. შპს "ქართული პერსპექტივა" (ს/ნ 405089657) ფლობს სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების #1003415 ლიცენზიას ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ გადამშის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო ნიაღისეულის (მადანგამოვლინება) შესწავლა-მოპოვების მიზნით.

შპს "ქართული პერსპექტივა"-ზე ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 25 თებერვლის #310/ს ბრძანებით კომპანიას განესაზღვრა შემდეგი ვალდებულებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში შეესწავლა რესურსი და დასამტკიცებლად წარმოედგინა ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიში;
- ძებნა-ძიებითი სამუშაოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით 5 წლის ვადაში დაეხარჯა არანაკლებ 5 000 000 ლარი და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში წარმოედგინა აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნა თანხის ხარჯვის ანგარიშის შესახებ;
- შესწავლის პერიოდში დაესაქმებინა ადგილობრივი მოსახლეობა (არანაკლებ 50 ადამიანი);
- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში სოფელ სორში აეშენებინა საბავშვო ბაღი;
- შესწავლის პერიოდში 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში განეხორციელებინა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსება.

ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იქნა შესრულებული ზემოაღნიშნული სალიცენზიო პირობები და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გატარებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები:

- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სორში საბავშვო ბაღის აშენების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2018 წლის 30 მარტს შედგენილ იქნა #044640 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2018 წლის 03 მაისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ადმინისტრაციული მიწერილობით ლიცენზიის მფლობელს განესაზღვრა ვადა ვალდებულების შესასრულებლად, თუმცა სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული არც მიწერილობით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად 2019 წლის 02 ივლისს შედგენილ იქნა #001707 ოქმი, ონის მაგისტრატმა სასამართლომ 2019 წლის 07 აგვისტოს დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 6000 ლარის ოდენობით. დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.
- ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 5 წლის ვადაში ლიცენზიით გათვალისწინებული სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის დასამტკიცებლად წარმოედგენლობის, ძებნა-ძიებითი სამუშაოებში 5 000 000 ლარის დახარჯვის ვალდებულების შეუსრულებლობის და შესწავლის პერიოდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული დასკვნის წარმოედგენლობის გამო 2021 წლის 14 მაისს შედგენილ იქნა #003038 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 18 ივნისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

შესწავლის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის (არანაკლებ 50 ადამიანის) დასაქმების ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ 2019 წლის 18 თებერვლის #22/865 წერილით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ლიცენზიის მფლობელისგან, რაც არ იქნა წარმოდგენილი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისად, 2019 წლის 24 აპრილს შედგენილ იქნა #001113 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 84-ე მუხლის მეოთხე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

- 100 000 ლარის ოდენობის თანხის ფარგლებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2019 წლის 25 ივნისს შედგენილ იქნა #001685 ოქმი. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 29 ივლისის დადგენილებით შპს "ქართული პერსპექტივა" ცნო სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57³-ე მუხლის მეორე ნაწილით და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის არაერთგზის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შესაბამისი შედეგი, კომპანიის მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა, დაჯარიმებების შემდგომ არ გატარებულა არანაირი სახის ქმედითი ღონისძიებები და არცერთი სალიცენზიო პირობა არ იქნა შესრულებული. შესაბამისად, სახეგვა კომპანიის სრული უმოქმედობა სალიცენზიო ვალდებულებების შესრულების კუთხით. კომპანიას არ უწარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული სასარგებლო ნიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესწავლის ვადის გასვლის მიუხედავად, რომელიც ამოიწურა 2021 წელს, კომპანიას არ წარმოედგენია მარაგების ანგარიში, არ დაუწყია ნიაღისეულის მოპოვება, შესაბამისად, არ ხორციელდება წიაღით რაციონალური სარგებლობა. გასათვალისწინებელია, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 25 თებერვლის #310/ ს ბრძანების მეორე პუნქტის "ს" ქვეპუნქტის თანახმად, სასარგებლო ნიაღისეულის მარაგების ანგარიშის

დასამტკიცებლად წარმოდგენილია შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი.

გემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, დასტურდება კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. აშკარაა, რომ ლიცენზიის მფლობელისთვის სალიცენზიო პირობის შესასრულებლად გონივრული ვადის განსაზღვრა და კვლავ დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს შესაბამის შედეგს, ვინაიდან, ცალკეულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სახდელის დადება და დამატებით მიცემულმა ვადა ვერ უზრუნველყო სალიცენზიო პირობების შესრულება.

2023 წლის 13 თებერვლის #22/895 წერილით კომპანიას მიენოდა ინფორმაცია ლიცენზიის გაუქმების საფუძველების არსებობის შესახებ. წერილი კომპანიის წარმომადგენელს ჩაბარდა 2023 წლის 15 თებერვალს, თუმცა არც აღნიშნულ წერილზე მომხდარა რეაგირება.

მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფოს აკისრია სასარგებლო წიაღისეულის რესურსის რაციონალურად განკარგვის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, წიაღის სექტორის მართვის პროცესში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის სწორად წარმართვა. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია არსებულ რესურსზე სხვა სუბიექტზე ლიცენზიის გაცემითა და მის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიიღოს გაცილებით მეტი სარგებელი, ვიდრე ამას იღებს მოქმედი ლიცენზიების არსებობის პირობებში, ვინაიდან დადასტურებულია კომპანიის სრული უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში.

ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში, სახელმწიფოს გაუჩნდება რესურსის ხელახალი განკარგვის შესაძლებლობა. ამ ფართობზე არსებული პერსპექტივა შესაძლოა გაცილებით მომგებიანი იყოს სახელმწიფოსთვის წიაღისეული რაციონალური სარგებლობის თვალსაზრისით, ვიდრე აღნიშნული ლიცენზიის არსებობა. ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შედეგი, მისი მხრიდან არცერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა.

შესაბამისად სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003301, N 1003302, N 1003303 და N 1003415 ლიცენზიების გაუქმების საფუძველი.

გემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის N1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2016 წლის 14 იანვრის N 43/ს, 2016 წლის 14 იანვრის N 45/ს, 2016 წლის 14 იანვრის N 46/ს და 2016 წლის 25 თებერვლის N 310/ს ბრძანებები;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) შპს „ქართულ პერსპექტივაზე“ (ს/ნ 405089657) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N 1003301, N 1003302, N 1003303 და N 1003415 ლიცენზიები;


3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N 2).

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ანდრო ასლანიშვილი